დანართი # 3

მიზნობრივი თანადაფინანსების შეთანხმება სააგენტოს, საფინანსო ინსტიტუტსა და მსესხებელს შორის (ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის)

____/____/20_ _ **გაფორმების ადგილი** _____

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“, (შემდგომში „სააგენტო“), ს/კ 404923785, წარმოდგენილი სააგენტოს პროექტების საოპერაციო დეპარტამენტის პროექტის კოორდინატორის ვალერი ქვაჭრელიშვილის სახით,

მეორეს მხრივ, _____(შემდგომში „ბენეფიციარი“), ს/კ ან პ/ნ_____,
(სრული სახელწოდება ან სახელი/გვარი)

_____, წარმოდგენილი_____მიერ და
(იურიდიული მისამართი) (სახელი, გვარი)

მესამეს მხრივ, _____(შემდგომში „საფინანსო ინსტიტუტი“), ს/კ_____,
(სრული სახელწოდება)

_____, წარმოდგენილი _____ მიერ და
(იურიდიული მისამართი) (სახელი, გვარი)

ვინაიდან, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის” ფარგლებში საფინანსო ინსტიტუტსა და ბენეფიციარს შორის გაფორმდა

საკრედიტო ხელშეკრულება: _____; _____; _____; _____; ____%;
(ნომერი) (თარიღი) (ვადა თვეებში) (თანხა) (განაკვეთი)

მიზნობრიობა:_____

_____

(საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული კონკრეტული მიზნობრიობის დეტალური აღწერილობა)

სააგენტოს თანადაფინანსების მაქსიმალური ჯამური თანხა: _____ ლარი.

1. „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ (შემდგომში „პროექტი“) ფარგლებში სააგენტო განახორციელებს არაუმეტეს 48 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას (ფიზიკური პირის შემთხვევაში საგრანტო თანადაფინანსება) სესხის გადახდის გრაფიკის შესაბამისად, ბენეფიციარის მიერ გადახდილი თანხის პარალელურად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის ძირითადი თანხის წლიური 11%-ის ოდენობით, სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან არა უმეტეს 50 თვის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული თანადაფინანსების ბოლო გადახდის თარიღიდან 2 თვის გასვლის შემდგომ. თანხა მიღებულად ჩაითვლება ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე სააგენტოს მიერ ჩარიცხვის მომენტიდან.

2. პროექტით განსაზღვრული მიზნობრიობების ფარგლებში გაცემული ყოველი ახალი (არარეფინანსირებული/არარესტრუქტურიზებული) სესხის ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის არა უმეტეს 50%-ის მეორადი უზრუნველყოფა მოხდება სააგენტოს მიერ სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემის

_____	_____	_____
სააგენტო	კომერციული ბანკი	ბენეფიციარი

თარიღიდან მომდევნო 50 თვის განმავლობაში (მაგრამ არაუგვიანეს საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული თანადაფინანსების ბოლო გადახდის თარიღიდან 2 თვის გასვლის შემდგომ) იმ შემთხვევაში, თუ სესხის პირველად უზრუნველყოფას წარმოადგენს მხოლოდ ის ქონება, სადაც მთლიანდ ან ნაწილობრივ ხდება სესხის თანხის ინვესტირება. მეორადი უზრუნველყოფა კომერციულ ბანკზე გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო საფინანსო ინსტიტუტი მოახდენს პირველადი უზრუნველყოფის რეალიზაციას და შედეგად ვერ მიიღებს ნარჩენი ძირითადი თანხის 100%-ს. სააგენტო უზრუნველყოფს სხვაობის შევსებას არაუმეტეს პირველადი უზრუნველყოფის რეალიზაციამდე არსებული ნარჩენი ძირითადი თანხის 50%-ის ოდენობით.

3. სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განახორციელოს საფინანსო ინსტიტუტის მიერ ბენეფიციარზე გაცემული სესხის მიზნობრიობის, წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ისა ან/და პროექტის სხვა პირობების მონიტორინგი (მათ შორის მოითხოვოს სესხის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია)და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს დარღვევებზე. ამასთან, ბენეფიციარი ვალდებულია სესხის თითოეული ტრანშის მიღებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში უზრუნველყოს ტრანშის სრულად გახარჯვა და თანხის მიზნობრივად ხარჯვის დასადასტურებლად, სესხის გამცემ საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის აუდიტორული დასკვნა (რომლის მომზადებისას გამოყენებულ უნდა იქნას სამსახურის მიერ სამოქმედოდ შემოღებული მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტები) სესხის ან მისი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 7 (შვიდი) თვის განმავლობაში. თუ აღნიშნულ ვადაში, ბენეფიციარმა არ წარმოადგინა აუდიტორული დასკვნა, სააგენტო შეუჩერებს ბენეფიციარს თანადაფინასებას, ხოლო 12 თვის გასვლის შემდეგ სააგენტოს მხრიდან წყდება თანადაფინასება და მეორადი უზრუნველყოფა. აღნიშნულ შემთხვევ(ებ)ში, სააგენტო უფლებამოსილია ბენეფიციარს დააკისროს პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა შეადგენს სააგენტოს მიერ სესხზე გადახდილ თანადაფინანსების სრულ თანხას.

4. სააგენტო უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე შეთანხმების პირობები, რის თაობაზეც წერილობით აცნობებს ბენეფიციარს.

5. ბენეფიციარის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო შეაჩერებს თანადაფინანსებას. თანადაფინანსება შესაძლოა განახლდეს, თუ ბენეფიციარის კეთილსინდისიერად, საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკით განახორციელებს შენატანების სრულად გადახდას. ბენეფიციარის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების განუხორციელებლობის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება წყდება სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან 50 თვის გასვლისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული ბოლო გადახდის თარიღიდან 2 თვის გასვლის შემდგომ.

6. საწარმო ან/და მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება სესხის მიზნობრივად ხარჯვა, უნდა იყოს მსესხებლის საკუთრებაში, თანასაკუთრებაში ან სარგებლობაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (თანასაკუთრების შემთხვევაში უნდა არსებობდეს თანამესაკუთრეების თანხმობა, სესხის ვადის განმავლობაში ქონებით სარგებლობის თაობაზე, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში მისი მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სესხის ვადაზე ნაკლები). ამასთან, იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი გაასხვისებს სესხით შექმნილ/შეძენილ ძირითად საშუალებებს/ან უძრავ ქონებას, ან შეწყვეტს სარგებლობას, რომელზეც განხორციელდა სესხის მიზნობრივად გამოყენება, სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს ბენეფიციარის დაფინანსება და მოსთხოვოს ბენეფიციარს ქონების გასხვისების შემდგომ გადახდილი დაფინანსების თანხის დაბრუნება.

_____	_____	_____
სააგენტო	კომერციული ბანკი	ბენეფიციარი

7. საფინანსო ინსტიტუტის მიერ ბენეფიციარის წინააღმდეგ საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე სააღსრულებო წარმოების დაწყებისთანავე (სააღსრულებო ფურცლის აღებისთანავე), სააგენტო შეუწყვეტს ბენეფიციარს თანადაფინანსებას.

8. ბენეფიციარი უპირობოდ თანხმდება, რომ შეთანხმების პირობების დარღვევის გამო თანადაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, თავად მოახდენს დადგენილი გადასახადებისა და სანქციების თანხის გადახდას.

9. სააგენტოს მიერ თანადაფინანსების შეჩერების და შეწყვეტის სხვა საფუძვლები განსაზღვრულია პროექტით.

10. დასაშვებია სესხის რესტრუქტურიზაცია, თუ რესტრუქტურიზაციის შედეგად სააგენტოს თანადაფინანსების ჯამური თანხა არ აღემატება სესხის რესტრუქტურიზაციის თარიღისთვის გრაფიკით გათვალისწინებულ დარჩენილ თანადაფინანსების ჯამურ თანხას.

11. დასაშვებია პროექტის ფარგლებში გასაცემი სესხის რეფინანსირება თუ:

ა) სესხი გაცემულია 2017 წლის 15 თებერვლამდე და გაიცა პროექტში მითითებული მიზნობრიობებით;

ბ) სესხი გაიცა 2017 წლის 15 თებერვლის შემდგომ და სესხის რეფინანსირების თარიღისთვის ახალი სესხის თანხა არ აღემატება თავდაპირველი სესხის ნარჩენ ძირითად თანხას. ამასთან, ასეთი სესხის რეფინანსირება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეფინანსირების შედეგად არ იზრდება თავდაპირველი სესხისთვის განკუთვნილი თანადაფინანსების დარჩენილი ვადა და სააგენტოს დარჩენილი გადასახდელი თანადაფინანსების ჯამური მოცულობა.

12. ბენეფიციარი თანახმაა, სააგენტომ ნებისმიერ დროს გამოითხოვოს მისი სესხის მონიტორინგთან დაკავშირებით კომერცილ ბანკ(ებ)ში არსებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

13. ბენეფიციარი აცხადებს თანხმობას, რომ მისი სესხების შესახებ ინფორმაციას სააგენტო შეიტანს საკუთარ მონაცემთა ბაზაში, რომელზეც წვდომა ექნებათ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში მონაწილე ბანკებს/სალიზინგო კომპანიებს. აღნიშნულის მიზანია, რომ კომერციულ ბანკმა/სალიზინგო კომპანიამ განახორციელოს კონტროლი, რომ არ გასცეს ბენეფიციარზე პროექტის პირობების შეუსაბამოდ პარალელური კრედიტები/ლიზინგები.

14. ბენეფიციარი აცხადებს თანხმობას, რომ სააგენტომ შეუზღუდავად, ნებისმიერ დროს მოიძიოს, მიიღოს და/ან დაამუშავოს ბენეფიციარის შესახებ სს კრედიტინფო საქართველოს „ქათული საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში“ დაცული ნებისმიერი ინფორმაცია/მონაცემი. ამასთან, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს ბენეფიციარის პერსონალური მონაცემების დამუშავება პროექტის ფარგლებში. ბენეფიციარი წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით აცხადებს, რომ ის თანახმაა მისი პერსონალური მონაცემები და სხვა მის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია ასახულ იქნას სრულად საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 ივლისის #350 დადგენილებით დამტკიცებულ „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტით“ გათვალისწინებულ მონაცემთა ბაზებში.

15. ბენეფიციარი აცხადებს თანხმობას და ანიჭებს კომერციულ ბანკს უფლებამოსილებას მასზედ, რომ კომერციულმა ბანკმა უაქცეპტოდ ჩამოჭრას ბენეფიციარის ბანკში არსებულ ანგარიშზე სააგენტოს მიერ ჩარიცხული თანადაფინანსების თანხები, რომელიც მიმართული იქნება პროექტის ფარგლებში საფინანსო ინსტიტუტის წინაშე არსებული დავალიანების შესამცირებლად/დასაფარად.

16. ინფორმაცია სააგენტოს მიერ პროექტის ფარგლებში განხორციელებული თანადაფინანსების თაობაზე საჯაროა.

17. მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმის მშენებლობის ან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესყიდვის შემთხვევაში, საჭიროა დაცული იყოს: ა) „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესყიდვის კრიტერიუმები; ბ) „მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმის კრიტერიუმები“, რომლებიც მოცემულია ვებ–გვერდზე http://arda.gov.ge/rules/. ბენეფიციარი ადასტურებს, რომ წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერამდე გაეცნო აღნიშნულ კრიტერიუმებს.

_____	_____	_____
სააგენტო	კომერციული ბანკი	ბენეფიციარი

18. ბენეფიციარი წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნობილია პროექტის პირობებს.
19. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ყველა საკითხი, დავა და ურთიერთობა რეგულირდება, განიმარტება და გადაწყდება ბანკსა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
20. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზეპლარად.

სააგენტოს სახელით	კომერციულ ბანკის სახელით _____	ბენეფიციარის სახელით _____
ვალერი ქვაჭრელიშვილი	*ხელმოწერა*	*ხელმოწერა*
პროექტების საოპერაციო დეპარტამენტის პროექტის კოორდინატორი	_____	ბენეფიციარი:_____
ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“,	*ბანკის მხრიდან ხელმომწერი პირის სახელი, გვარი*	ტელ.: _____
ტელ: +995 32 247 01 01	_____	ფაქტ.მის.:_____
იურიდ. მის: მარშალ გელოვანის N 6,	*თანამდებობა*	_____
თბილისი, 0159,	_____	
ფაქტ. მის: ახმეტელის გამზ 10ა, თბილისი, 0159	*ტელეფონი*	
	_____	
	მისამართი	

_____	_____	_____
სააგენტო	კომერციული ბანკი	ბენეფიციარი